

ალექსანდრე გუგუშვილის არქივი

ალექსანდრე გიორგის ძე გუგუშვილი დაიბადა 1887 წლის 3 (16) აპრილს. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, ხოლო შემდეგ შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც სწავლობდა მეხუთე კლასამდე, რადგან უსახსრობის გამო იძულებული გახდა თავი დაენებებინა სწავლისთვის.

ალექსანდრე გუგუშვილის დებიუტი ქუთაისის ქართულ სცენაზე შედგა 1906 წელს რევაზ ბებურიშვილის როლით აკაკი წერეთლის პიესაში „პატარა კახი“.

1907 წლიდან ალექსანდრე გუგუშვილი ქუთაისის ქართულ თეატრში მუშაობდა შალვა დადიანის ხელმძღვანელობით, როგორც რეჟისორის თანაშემწე და ასრულებდა ეპიზოდურ როლებს.

1913-1914 წლებში ალექსანდრე გუგუშვილი თბილისში ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში მუშაობდა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან.

1914-1915 წლებში კვლავ ქუთაისის ქართულ თეატრში მოღვაწეობდა, ხოლო 1916 წლიდან სამტრედიის ქართულ თეატრში.

1916-1917 წლებსა და 1920-1923 წლებში ალექსანდრე გუგუშვილი ბათუმის ქართულ თეატრში მოღვაწეობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სწორედ მან ითავა ბათუმის ქართული დრამატული დასის შედგენა, რომელიც როგორც ადგილობრივი, ასევე საგანგებოდ მოწვეული მსახიობებისგან შედგებოდა.

1918-1920 წლებსა და 1924-1925 წლებში ალექსანდრე გუგუშვილი თბილისის ქართულ დრამატულ თეატრშია.

1923-1924 წლებში ალექსანდრე გუგუშვილი სოხუმის დრამატული თეატრის დასშია.

1926 წლიდან ალექსანდრე გუგუშვილი თბილისში კინოსტუდიაში მუშაობდა მსახიობად, რეჟისორის თანაშემწედ და ადმინისტრატორად, ამავდროულად 1927-1929 წლებში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პროფმომუშავე აქალებს ხელოვნების კავშირთან ე.წ. კინომსახიობთა საქალაქო კომიტეტს და მისი თავმჯდომარეა. კავშირში გაერთიანებულ კინომსახიობებს ეძლეოდათ საშუალება სამსახიობო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ალექსანდრე გუგუშვილი ადმინისტრაციული ხაზით მუშაობდა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან ფილმებში: „უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“ და „ღიადი განთიადი“.

1932 წელს ალექსანდრე გუგუშვილი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით და „დამკვრელის“ წოდება მიენიჭა.

1938 წელს ალექსანდრე გუგუშვილს გამოეცხადა მადლობა და მიიღო ფულადი ჯილდო საუკეთესო მუშაობისათვის.

1939 წელს გამოეცხადა მადლობა მუშაობისათვის.

1940 წელს ალექსანდრე გუგუშვილი წარდგენილ იქნა საიუბილეო ნიშნის მიღებაზე კინემატოგრაფიის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ალექსანდრე გუგუშვილი გარდაიცვალა 1962 წელს.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ალექსანდრე გუგუშვილისა და ქართული დრამის ამხანაგობას შორის დადებული ხელშეკრულება დასში მუშაობის შესახებ.
1907წ. 16 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ალექსანდრე გუგუშვილი, ვალერიან შალიკაშვილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
2. ალექსანდრე გუგუშვილსა და ქუთაისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას შორის დადებული ხელშეკრულება 1909 წლის 1 სექტემბრიდან 1910წლის 1 მარტამდე ქუთაისის ქართულ დრამატულ დასში მუშაობის შესახებ.
1909წ. 30 აგვისტო. ბლანკი. ხელს აწერენ: ალექსანდრე კარგარეთელი, ალექსანდრე გუგუშვილი, ალექსანდრე ჩიქოვანი, მ. ანჯაფაროძე, ივანე პურადაშვილი, ავალიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი. 2 გვ.

3. ალექსანდრე გუგუშვილსა და ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის შორის დადებული ხელშეკრულება 1910 წლის 1 სექტემბრიდან 1911 წლის 21 თებერვლამდე დრამატულ საზოგადოებრივ დასში მუშაობის შესახებ.
1910 წ. 1 სექტემბერი. დასტამბული. ხელს აწერენ: მ. ანჯაფარიძე, ალექსანდრე ჩიქოვანი, გ. გედევანიშვილი, გ. ნათაძე, ივანე პურადაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი. 2 გვ.
4. მსახიობ ალექსანდრე გუგუშვილსა და მშრომელთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თეატრალურ სექციას შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება.
1917წ. 1 სექტემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
5. ალექსანდრე გუგუშვილის ხელშეკრულება ქართველ მსახიობთა საპროფესორო კავშირის საბჭოსთან 1918/19 წლების სეზონში 1 დეკემბრიდან 1 მაისამდე ქართულ დასში რეჟისორის თანაშემწედ მუშაობის შესახებ.
1919წ. 1 დეკემბერი. თბილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე შალვა დადიანი. წევრები: გ. ფრონისპირელი, ალექსანდრე ყალიბეგაშვილი. 1 გვ.
6. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის საერთო განყოფილების მიერ გაცემული მოწმობა ალექსანდრე გუგუშვილისადმი, ქუთაისის ქართულ თეატრში მსახიობად მოღვაწეობის შესახებ.
1920წ. 1 მარტი. დასტამბული. 1 ც.
7. ქართველ მსახიობთა საპროფესორო კავშირის ბათუმის განყოფილების მიერ გაცემული მოწმობა ალექსანდრე გუგუშვილისადმი, ქართულ სახელმწიფო დასში რეჟისორად მოღვაწეობის შესახებ.
1921წ. 12 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
8. ალექსანდრე გუგუშვილსა და აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების წარმომადგენელ მ. ანჩაბაძეს შორის დადებული ხელშეკრულება 1923წ. 15 ოქტომბრიდან 1924წ. 20 მაისამდე სოხუმის ქართულ დრამატულ დასში რეჟისორად მუშაობის შესახებ.
1923წ. 15 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს მ. ანჩაბაძე. რუსულ ენაზე. 2 გვ.
9. რესპუბლიკის სახალხო არტისტ შალვა დადიანის მიერ გაცემული ალექსანდრე გუგუშვილის დაახასიათება.
1939წ. 5 მარტი. ავტოგრაფი. ასლი. 1 გვ.
10. თბილისის კინოსტუდიის საფაბრიკო კომიტეტის თხოვნა ხელოვნების სამმართველოსთან არსებულ სათეატრო მუზეუმის უფროსისადმი, მსახიობ ალექსანდრე გუგუშვილის თეატრსა და კინოში მოღვაწეობის ამსახველი მასალის მიწოდებასთან დაკავშირებით.
1940წ. 2 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს კინოსტუდიის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ფუტკარაძე. 1 გვ.
11. საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე გუგუშვილისადმი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სამტრედიის თეატრებსა და კინოსტუდიაში მუშაობის შესახებ. 1940წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.
12. ალექსანდრე გიორგის ძე გუგუშვილის ავტობიოგრაფია.
1940წ. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
13. ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების დასის მსახიობ ალექსანდრე გუგუშვილის სცენის მოღვაწეთა წესები.
უთარილო. დასტამბული. 1 ც.
14. რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის მიერ გაცემული ალექსანდრე გუგუშვილის დაახასიათება.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.
15. კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილის მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე გუგუშვილის კინოსტუდიაში მუშაობის შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კინოსტუდიის დირექტორი გიგოშვილი, ფაბკომის თავმჯდომარე ფუტკარაძე. 1 გვ.
16. ალექსანდრე გუგუშვილის ბიოგრაფია.
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.
17. რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას მიერ გაცემული ალექსანდრე გუგუშვილის დაახასიათება.
უთარილო. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

